Შ.პ.ს. " ალფალაბი"

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
საქმიანობის შედეგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 7

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2023	2022	2021
საინვესტიციო ქონება			
გრძელვადიანი მოთხოვნები			
ძირითადი საშუალებები	858766	848852,9	852350,57
არამატერიალური აქტივები	2403,67	3093,65	1840
გრძელვადიანი ინვესტიციები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	**861169,67**	**851946,55**	**854190,57**
გადახდილი ავანსები	271658,15	311813,52	469501,72
დარიცხული მოთხოვნები (მისაღები დივიდენდი			
დარიცხული მოთხოვნები (მისაღები პროცენტები)			
სხვა მოკლევადიანი აქტივები (ბიუჯეტი)			
მარაგები და დაუმთავრებელი მშენებლობა	511462	437914,46	385171,24
სხვა გასაყიდი საქონელი			
დებიტორული დავალიანება	232627,23	304303,83	484844,1
მიმდინარე სასესხო მოთხოვნა			
ფულადი სახსრები	79843,51	333117,53	612991,42
სულ მიმდინარე აქტივები	**1095590,89**	**1387149,34**	**1952508,48**
სულ მთლიანი აქტივები	**1956761**	**2239096**	**2806699**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2100	2100	2100
გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	1192044,44	1155221,93	2778416,77
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი			
სულ კაპიტალი	**1194144,44**	**1157321,93**	**2780516,77**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება			
მიღებული ავანსი			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**0**	**0**	**0**
მოკლევადიანი ვალდებულებები			

სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანენა			
საბიუჯეტო გადასახდელები	1203	29142,38	26182,13
გადასახდელიო სესხის პროცენტი			
გადასახდელი დივიდენდი	761412,7	1052631,58	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულება			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**762615,7**	**1081773,96**	**26182,13**
სულ ვალდებულებები	**762615,7**	**1081773,96**	**26182,13**
სულ კაპიტალი და ვალდებულება	**1956760**	**2239096**	**2806699**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	1398317,14	1919735,17
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-927813,93	-1226412,55
საერთო მოგება	**470503,21**	**693322,62**
ადმინისტრაციული ხარჯები	-240856,83	-214138,45
მიწოდების ხარჯები	-27546,63	-30759,4
სხვა საერთო საოპერაციო ხარჯები	-118248,24	-111891,09
საოპერაციო ხარჯები	**(386651,70)**	**(356788,94)**
საოპერაციო მოგება	**83851,51**	**336533,68**
არასაოპერაციო შემოსავალი	4391,59	12524,27
არასაოპერაციო ხარჯი	-20,5	-3506,32
ფინანსური შემოსავალი		28274,4
ფინანსური ხარჯი		-16805
წმინდა ფინანსური შედეგი	4371,09	20487,35
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	**88222,60**	**357021,03**
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	-51399,9	-139137,64
მოგება დაბეგვრის შემდგომ	36822,70	217883,39
სხვა სრული შემოსავალი		
გადაფასების რეზერვი		
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	**36822,70**	**217883,39**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუტარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის	**2100**	**2778416,77**	**2780516,77**
2021წ. გახსნითი კორექტირების საფუძველზე კაპიტალის კორექტირება			0
კაპიტალის ცვლილება			0
გაცემული/მიღებული დივიდენდი		-1841078,23	-1841078,23
გადავადებული საგადასახადო აქტივი			0
სხვა სრული შემოსავალი		217883,39	217883,39
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის	**2100**	**1155221,9**	**1157321,93**
კაპიტალის ცვლილება			0
გაცემული/მიღებული დივიდენდი			0
გადავადებული საგადასახადო აქტივი			0
სხვა სრული შემოსავალი		36822,7	36822,7
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**2100**	**1192044,63**	**1194144,63**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 23 სექტემბერს

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს **„ალფალაბის“** ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის გამოსაცემად მომზადდა დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

შპს **„ალფალაბი“** (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნებულს 2007 წლის 14 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მის იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს წარმოადგენს საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, შალვა გოგიძის ქუჩა, N19

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო აპარატურით, ტესტ სისტემებითა და რეაქტივებით ვაჭრობა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან

მაია ხუციშვილი (01024010189) – 50%,

მარინე გომართელი (01024013592) – 50%,

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის ცვლილებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ

მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის წინასწარ განსაზღვრული შეფასებებისგან.

2. მომზადების საფუძველი

ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტერთა საერთაშორისო სტანდარტების მსს (ფასს) შესაბამისად.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერია". პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

გ) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

დ) შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მისი მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი

სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მესამე შენიშვნაში.

ე) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრავს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მის უნარსაც.

3. მნშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებისას კომპანიამ იხელმძღვანელა შემდეგი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკით:

კლასიფიკაცია მოხდა მოკლევადიანი/გრძელვადიანობის მიხედვით

კომპანია წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც ეფუძნება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციას.

- თუ მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს;
- ინახება უპირველესად სავაჭრო მიზნებისათვის;
- თუ მისი რეალიზაცია იგეგმება, სანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში;
- ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები, რომელთა გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დაფარვისთვის არ არის შეზღუდული საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება არის მიმდინარე, როცა:

- მოსალოდნელია, რომ დაიფაროს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს.
- უპირველესად სავაჭრო მიზნებისთვისაა.
- უნდა გადახდილ იქნას საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
- თუ ფულადი სახსრები და მისი ექვივალეტების გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გადახდა შეზღუდული არ არის საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანად მიიჩნევს. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად.

3. მნშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსავლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. შემოსავალი ფასდება ანაზღაურებული ან ასანაზრაურებელი საკომპანსაციო თანხის საბაზრო ღირებულებით, კონტრაქტით განსაზღვრული გადახდის ვადისა და დასაბეგრი თანხის გათვალისწინებით. შემოსავლის მირებისას კომპანია ხელმძღვანელობს კონკრეტული კრიტერიუმებით იმისათვის, რომ განსაზღვროს შემოსავალი, მიღებული ძირითადი თუ არაძირითადი საქმიანობიდან.

შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, კომპანიის მიერ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულირების ფარგლებში, როდესაც შემოსავლის თანხაშესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმიან წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიაქნობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და შესაძლებელია კავშირი შემოსავალთან მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალის ანგარშგებაში ხარჯების აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღიარდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად გადახდილი ავანსების გათვალისწინებით.

მიღებული და გადახდილი ავანსები არ გადაფასდება.

საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცვლითი კურსები	საქ. ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,7020	2,8844
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,6894	2,9753

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენ შემთხვვაში იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მიმდიმარე მოგების გადასახადთან და გადავადებულ მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდების დასაბეგრი მოგების ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის გადასახდელი ან გამოყენებადი თანხა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება აღიარდება წარსულში მომხდარი ოპერაციების შედეგად მომავალ საანგარიშგებო პერიოდში გამოყენებად ან გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიქმნება ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსი ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობის (ცნობილი, როგორც დროებითი სხვაობა) არსებობის გამო.

საანგარიშგებო პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი შეადგენს დასაბეგრი მოგების 15%-ს.

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც დღგ შეძენილ საქონელზე ან მომსახურებაზე არ ექვემდებარება ჩათვლას, ასეთ შემთხვევაში დღგ ჩაითვლება შეძენილი საქონლის თვითღირებულებაში;
- მისაღები და გადასახდელი თანხები წარმოდგენილია დღგ-ს ჩათვლით;
- ჩასათვლელი ან გადასახდელი დღგ-ს თანხა, რომელიც უკავშირდება საგადასახადო ორგანოებთან ანგარიშსწორებას, ჩაითვლება დებიტორულ ან კრედიტორულ დავალიანებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოითვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

შენობები	20-დან 50 წლამდე
მანქანა -დანადგარები და მძიმე ტექნიკა	5-დან 10 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 5 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ეს ღირებულება ბიზნეს - გარიგების დროს გულისხმობს მათ რეალურ ღირებულებას შეძენის დღეს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღიარდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით.

განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მთელი თავისი ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც ამის ნიშნები ვლინდება. ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი განსაზღვრული ვადის არამატერიალური აქტივისთვის გადაიხედება სულ ცოტა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ცვლილებები სასარგებლო მომსახურების ვადაში ან აქტივში განივთებული მომავალ ეკონომიკური სარგებელში, აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის ცვლილებით, აისახება რა ეს საბუღალტრო აღრიცხვის შეფასებებში. განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების კატეგორიაში არამატერიალური აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება 15%-ით, მისი განუსაზღვრელი ვადა გადაიხედება ყოველწლიურად იმის განსასაზღვრად, აგრძელებს თუ არა

იგი განუსაზღვრელი ვადით ფუნქციონირებას. თუ არ აგრძელებს, მაშინ სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვლება განუსაზღვრელიდან განსაზღვრულ ვადამდე სამომავლოდ.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება მიღებულ წმინდა სარეალიზაციო თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილი ან გასაყიდად არსებული ფინასური აქტივები.

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური თვითღირებულებით, დამატებული გადარიცხვის ხარჯები, გარდა სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა.

ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომლის დროსაც საჭიროა აქტივების მიტანა-ჩაბარება დროულად ბაზრის რეგულაციების მიხედვით, აღიარდება აქტივის გაყიდვის ან ყიდვის დღეს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში ან ზარალში

რეალური ღირებულების ფინანსური აქტივები მოიცავს გასაყიდად გამიზნულ და თავდაპირველად რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია გასაყიდად თუ ისინი შეძენილია გასაყიდად ან გადასაყიდად უახლოეს მომავალში.

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოგებაში ან ზარალში გადაიტანება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალურ ღირებულებად, მასთან დაკავშირებული ცვლილების საფინანსო შემოსავლად ან ხარჯად აღიარებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანიას ჯერ არ უღიარებია ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

კომპანია აფასებს გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს (დერივატივებისგან განსხვავებულს), რათა განსაზღვროს, მიზანშეწონილია თუ არა მათი გაყიდვა უახლოეს მომავალში. როდესაც კომპანიას არ შეუძლია ამ ფინანსური აქტივების გაყიდვა არააქტიური ბაზრის გამო და ასევე მენეჯმენტის განზრახვის გამო მისი გაყიდვის შესახებ უახლოეს მომავალში, რომელიც შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, ამიტომ იშვიათ შემთხვევაში კომპანიამ შესაძლოა ამ ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება გადაწყვიტოს.

სესხებად და მოთხოვნებად, გასაყიდად ან ვადამდე ფლობილ ფინანსურ აქტივებად რეკლასიფიცირება დამოკიდებულია აქტივის ტიპზე. ეს შეფასება გავლენას არ ახდენს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივზე საბაზრო ღირებულების მოდელის არჩევისას.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები,

სესხები და გადასახდელი ანგარიშები. კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საბანკო ოვერდრაფტებს, სესხებსა და კრედიტებს, ფინანსური გარანტიის კონტრაქტებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები

მოცემული ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გასაყიდ და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც აღრიცხულია თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯებად , როცა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები გაიყიდება და როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე სასაქონლო-

მატერიალური ფასეულობების დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს.

ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები

ფინანსური სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

დივიდენდების განაწილება

კომპანია აღიარებს დამფუძნებლების წინაშე დივიდენდის ფულადი ან არაფულადი სახით განაწილების ვალდებულებას, როდესაც დივიდენდი უკვე გამოცხადებულია. შესაბამისი ღირებულება აღიარდება პირდაპირ კაპიტალში. არაფულადი განაცემები ფასდება გასანაწილებელი აქტივების საბაზრო ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობის თანხა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გასანაწილებელი აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება შემოსავლად მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურება ხდება, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღსადგენ ღირებულებას, რომელიც არ აღემატება მის რეალურ თვითღირებულებას, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. რეალური თვითღირებულების დაანგარიშება, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით, ეფუძნება ხელმისაწვდომ ფასს, რომელიც მოცემულია „გაშლილი ხელის პრინციპზე“ აგებულ გაყიდვის გარიგებაში, ან საბაზრო ფასთან მიახლოებული ფასს, რომლებშიც არ შედის დამატებითი ხარჯები აქტივის გაცემისთვის.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით.

4. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან განსჯას, შეფასებებს, ვარაუდებს, რომლებიც ეხება შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებს, თანმხლებ ახსნა–განმარტებით შენიშვნებს და პირობით ვალდებულებებს. გაურკვევლობა ამ ვარაუდებისა და შეფასებების შესახებ, შესაძლოა, დასრულდეს ისეთი შედეგით, რომელიც მოითხოვს აქტივისა ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით მატერიალურ კორექტირებას მომავალში.

ძირითადი ვარაუდები დაკავშირებული შეფასების გაურკვევლობის მომავალ ან სხვა მნიშვნელოვან წყაროსთან დასკვნის თარიღისთვის, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალური კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, აღწერილია ქვევით. გახადოს საჭირო მხრივ მომავალ წელს. კომპანია შეფასებებსა და ვარაუდებს აკეთებს იმ პარამეტრების საფუძველზე როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდა. არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალი განვითარების შესახებ შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის

ან გარემოებათა ცვლილებასთან ერთად, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს. ასეთი ცვლილებები გავლენას ახდენს ვარაუდებზე მაშინ , როცა ის იჩენს თავს.

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ღირებულება ან გადაფასებული თანხა

	შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივი	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომ.	989 747	224 966	3 346	1 218 059
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	53795	13389	1254	68438
გაყიდვები/ჩამოწერა				0
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	1 043 542	238 355	4 600	1 286 497
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	42879	38931		81810
გაყიდვები/ჩამოწერა				0
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	1 086 421	277 286	4 600	1 368 307
				0
ცვეთა და გაუფასურება				0
2022 წლის 1 იანვრის მდგომ.	221766	140596,2	1506	363 868
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	47076	23606	0	70682
გაყიდვის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-		0
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	268842	164202,2	1506	434 550
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	47076	24821	690	72587
გაყიდვის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-		0
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	315918	189023,2	2196	507 137
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 1 იანვრის მდგომ.	767 981	84 370	1 840	854 191
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	774 700	74 153	3 094	851 947
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	770 503	88 263	2 404	861 170

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	გასაყიდად განკუთვნილი საქონელი
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	385171,24
შესყიდვები	1289692,13
სახეობის ცვლილება	
გაყიდვები/ჩამოწერა	-1236949,01
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	437 914
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	1009850,27
სახეობის ცვლილება	-2345
გაყიდვები/ჩამოწერა	-933958
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	511 462

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს ყველა იმ დანახარჯს, რომელიც გაიწია მათ შესაძენად და დანიშნულების ადგილამდე მოსატანად.

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება ასე:

	2023წ	2022წ
გადახდილი ავანსები	271658,15	311813,52
დებიტორული დავალიანება	232627,23	304303,83

ანგარიშგებაში ასახული ავანსები (როგორც გაცემული, ასევე მიღებული) ასახულია დღგ-ს გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვერ ხდება აღნიშნულ ოპერაციაზე დღგ-ს ჩათვლა.

ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ კომპანიაში დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი საშუალოდ არ სცილდება 60 დღეს საქონლის მიწოდებიდან.

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2023	2022
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები სალაროში	100	11,13
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	79743	333106

საბალანსო მონაცემებით შეგვიძლია დავადგინოთ კომპანიის უნარი - დაფაროს მისი ვალდებულებები.

გამოვითვალეთ ლიკვიდურობის კოეფიციენტი და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი, კერძოდ:

(ა) კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2023 წლის მონაცემების საფუძველზე შეადგენს 1,08-ს, რომელიც არ აღემატება რეკომენდირებულ კოეფიციენტს 1-ს. კომპანიას აქვს უნარი საკუთარი სახსრებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულება.

(ბ) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი 2023წლის მონაცემების საფუძველზე შეადგენს 0,41-ს, რაც კომპანიის მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე ვერ მეტყველებს. აღნიშნული გამოწვეულია დასაფარი დივიდენდის ვალდებულებით.

9. კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2100 ლარს. საწესდებო კაპიტალის მუხლებში ცვლილება არ მომხდარა, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 2100 ლარი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შევსებულ იქნა დამფუძნებლების მიერ ეროვნულ ვალუტაში, ლარში და დივიდენდებსაც ლარში მიიღებენ.

კომპანიის დაარსების დღიდან **ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე** არც წილობრივი მონაწილეობა დამფუძნებელთა და არც მათი შემადგენლობა არ შეცვლილა.

კომპანის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი შეადგენს 61% 2023 წლის 31 დეკემბრისათვის. აღნიშნული კოეფიციენტის ნიშნული მიუთითებს, კომპანიის დამოუკიდებლობაზე მოზიდული კაპიტალის მიმართ.

10. გრძელვადიანი ვალდებულება

კომპანიას პერიოდისარც დასაწყისისათვის და არც ბოლოს არ აქვს გრძელვადიანი ვალდებულებები.

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2023	2022
საბიუჯეტო გადასახდელები	1203	29142,38

12. შემოსავალი

	2023	2022
შემოსავალი		
რეალიზაციიდან	1398317,14	1919735,17

მომგებიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენად მომგებიანია კომპანიის საქმიანობა და წარმოაჩენს წმინდა მოგების წილს საწარმოს მომსახურების მიწოდების მოცულობაში. 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 18%-ს, რომელიც შემცირებულია 2023 წელს და შეადგენს 6%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, კომპანიის შემოსავალმა იკლო 2023 წელს 27%-ით 2022 წელთან შედარებით. მომგებიანობის კოეფიციენტი კი შემცირებულია 12%-ით წინა წელთან შედარებით. მიზეზი არის ძირითადად ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა, შემოსავლის შემცირების ფონზე.

13. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

	2023	2022 წელი
შრომის ანაზღაურება	212332	195979
საპენსიო ფონდის ხარჯი	2909	3165
მიმდინარე რემონტი	177,5	64
სატენდერო ხარჯი	3178	2663
მიწოდების ხარჯი	27547	30759
სასამართლოს ხარჯები		
საკანცელარიო, საოფისე ხარჯი	533	542
საკონსულტაციო ხარჯი	7839	5002
კომუნიკაციის ხარჯი	21410	10932
წარმომადგენლობითი ხარჯი		337
ცვეთა	72587	70681
ბანკის მომსახურების ხარჯი	7648	8452
კონვერტაციის ხარჯი	3481	3343
ქონების გადასახადი	8693	8762
საოფისე ხარჯი	3671,82	3521
სხვა	14010	12586
გადახდილი ჯარიმები	635	
სულ	**386651**	**356789**

ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გაზრდილია 8%, შემოსავლის 27%-იანი კლების ფონზე. აღნიშნული შედეგი მიანიშნებს, რომ ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს ეფექტური პოლიტიკა საოპერაციო დაახარჯების დაზოგვის მხრივ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებებს ნორმალურ და სტრესულ გარემოებებში. ლიკვიდურობის რისკი იმართება ფულადი ნაკადების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზით, ასევე ამ პროგნოზებისა და არსებული ფულადი სახსრების მონიტორინგით.

კომპანიას აქვს მაღალი ლიკვიდობის კოეფიციენტი და შესაბამისად დაბალი ლიკვიდურობის რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამატრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

„კომპანია" ნაწილობრივ დგას სავალუტო რისკის წინაშე. შესყიდვის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება აშშ დოლარში, ხოლო გარიგებები გაყიდვებზე ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას" არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას" ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს.

კომპანია არის მგრძნობიარე მაღალი დონით სავალუტო ცვლილებების მიმართ, რადგან შესყიდვებს ახორციელებს თითქმის სრულად უცხოურ ბაზარზე, გაყიდვა კი წარმოებს ეროვნული ვალუტით.

2023 წლის განმავლობაში, სავალუტო ცვლილებას დადებითი გავლენა ჰქონდა კომპანიის შედეგებზე.

კაპიტალის მართვა

„კომპანიას", საქმიანობიდან გამომდინარე, არ აქვს ფორმარული კაპიტალის მართვის პოლიტიკა.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს მესაკუთრეთა მიერ ინვესტირებული კაპიტალის ეფექტურობას და გვიჩვენებს რამდენი ერთეული ფულადი სახსრები გამოიმუშავა თითოეულმა ჩადებულმა ფულადმა ერთეულმა.
2022 წლის მონაცემებით კომპანიის კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტია 0,19
ხოლო 2023 წლისათვის საქმიანობის შედეგების შესაბამისად კოეფიციენტია 0,03

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემისთვის დამახასიათბელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას" დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

18. დაკავშირებული მხარეები

მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორის ფინანსურ ან ძირითად გადაწყვეტილებებზე. აქცენტი კეთდება ურთიერთობის არსსა და არა - სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულმა მხარეებმა შესაძლოა ერთმანეთთან დადონ გარიგება, რაც არ შეუძლიათ დაუკავშირებელ მხარეებს, ხოლო ტრანზაქციებზე დაკავშირებულ მხარეებს შორის, შესაძლოა, გავლენა არ მოახდინოს იგივე წესებმა და პირობებმა, რაც დაუკავშირებელ მხარეებს შორის მოქმედებს ხოლმე.

„კომპანიის“ დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენენ დამფუძნებლები, დირექტორი, კომპანიები, რომელთაც მართავენ საერთო დირექტორები და ფლოებენ საერთო დამფუძნებლები

- მაია ხუციშვილი– 50%
- მარინე გომართელი –50 %
- შპს ალფალაბ დიაგნოსტიკა - საერთო დამფუძნებელი, საერთო დირექტორი
- შპს „ბიო მედ ლაბი“ - საერთო დამფუძნებელი
- შპს „ქლინ“ - საერთო დამფუძნებელი
- შპს „ევრომედლაბი“ - საერთო დამფუძნებელი
- შპს „მედ ტექ სერვისი“ - საერთო დამფუძნებელი
- ინვიტრო დიაგნოსტიკის პროდუქციის იმპორტიორთა ასოციაცია - მეკავშირე საწარმო
- შპს კუბიკი - საერთო დამფუძნებელი

დაკავშირებული მხარე	დაკავშირებული მხარეები	ოპერაციების შინაარსი
შპს „ბიო მედ ლაბი“	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებლები	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის მოხდა საქონლისა მიწოდება
შპს „ალფალაბ დიაგნოსტიკა“	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებლები და დირექტორი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის არ მომხდარა სამეურნეო ოპერაციები
შპს კუბიკი	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებლები	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის არ მომხდარა სამეურნეო ოპერაციები

შპს „ქლინ“	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებლები	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის არ მომხდარა სამეურნეო ოპერაციები
შპს „ევრომედლაბი“	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებლები	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის მოხდა საქონლისა მიწოდება
შპს „მედტექ სერვისი“	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებლები	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის არ მომხდარა სამეურნეო ოპერაციები
ინვიტრო დიაგნოსტიკის პროდუქციის იმპორტიორთა ასოციაცია	დაკავშირებული მხარეა, რადგან ჰყავთ საერთო დამფუძნებლები	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარეებს შორის არ მომხდარა სამეურნეო ოპერაციები
მაია ხუციშვილი	გააჩნია კომპანიის 50% იანი წილი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან გაიცემა დივიდენდი
მარინე გომართელი	გააჩნია კომპანიის 50% იანი წილი, არის კომპანიის დირექტორი	აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან გაიცემა ხელფასი და დივიდენდი

დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	2023
გაყიდვები	12100
შესყიდვები	0
გაცემული დივიდენდები	291266
ხელფასები	63415
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	
დებიტორული დავალიანება	1000
კრედიტორული ვალდებულებები	0

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.